საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №983
2024 წლის 18 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 6 მაისის №24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 6 მაისის №24 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 07.05.2014, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.027.016531) დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. იურიდიული დეპარტამენტის მიზანია აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის შესაძლო ზიანის პრევენცია, მისი კანონიერი ინტერესების დაცვა და აღსრულების ეროვნული ბიუროს განვითარების ხელშეწყობა.“.

ბ) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) ანალიტიკური საქმიანობის კოორდინაცია.“;

გ) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ^{1}“–„ლ^{14}“ ქვეპუნქტები:

„ლ^{1}) პოლიტიკის დოკუმენტებზე (კონცეფცია, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და სხვა) მუშაობა, მათ შორის, სიტუაციის ანალიზის მომზადება, თემატური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების მოძიება;

ლ^{2}) სხვადასხვა სახის ანალიტიკური დოკუმენტების მომზადება, მათ შორის, აღსრულების ეროვნული ბიუროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე შიდა და სართაშორისო დონეზე მიმდინარე აქტუალურ პროცესებთან დაკავშირებით ანალიტიკური (მათ შორის, შედარებითი) მიმოხილვების მომზადება;

ლ^{3}) კანონმდებლობის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ლ^{4}) თემატურ-დარგობრივი კვლევებისა და შედარებით-სამართლებრივი კვლევების მომზადება;

ლ^{5}) სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მეთოდოლოგიის კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

ლ^{6}) დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი;

ლ^{7}) სტრატეგიებითა და სამოქმედო გეგმებით აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და ანგარიშგება;

ლ[8]) ანალიტიკური ანგარიშების მომზადება;

ლ[9]) ყოველთვიური და ყოველწლიური ანგარიშების მომზადების პროცესში მონაწილეობა; განხორციელებული წლიური საქმიანობის შინაარსობრივი თვალსაზრისით შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

ლ[10]) თემატურ საკითხებზე ტენდენციების გამოკვეთა, სიახლეების იდენტიფიცირება, საკვლევი თემატიკის ინიცირება (არსებული გამოწვევებისა და რისკების შესწავლა/ანალიზი და სათანადო დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებაში მონაწილეობა);

ლ[11]) თემატური სახელმძღვანელოების მომზადებაში მონაწილეობა;

ლ[12]) პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება, რეკომენდაციების შემუშავება;

ლ[13]) ანალიტიკური მიმართულების განვითარების მეთოდოლოგიის შემუშავება;

ლ[14]) თემატური პროექტების მართვაში მონაწილეობა;

ლ[15]) სამინისტროს სისტემის ანალიტიკურ დანაყოფებთან ურთიერთობის კოორდინაციის პროცესში მონაწილეობა;";

დ) მე-4 პუნქტის:

დ.ა) „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სასამართლო წარმომადგენლობის სამსახური;";

დ.ბ) „ბ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ" ქვეპუნქტი:

„გ) ანალიტიკური სამსახური.";

ე) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სასამართლო წარმომადგენლობის სამსახური უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე", „თ", „მ" და „ნ" ქვეპუნქტებით (მისი საქმიანობის ფარგლებში) განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.";

ვ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. ანალიტიკური სამსახური უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე[1]", „ლ[1]"–„ლ[15]", „მ" და „ნ" ქვეპუნქტებით (მისი საქმიანობის ფარგლებში) განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**